შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№29 (9.937)

8 - 15 აგვისტო 2020წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საქართველოსთვის, ბიჭებო სწორდით!

„საქართველოსთვის ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით - ყოველთვის ვცხონდით!“

ტარიელ ჯანტურია

ახლა აგვისტოა და თორმეტი წელი უსრულდება ხუთდღიან ომს. ომს, რომელმაც ჩვენი მშვიდობიანი თანაცხოვრება დაარღვია და მანამდე წიგნში წაკითხული თუ ფილმებში ნანახი საშინელება რეალობად გვიქცია. 12 წლის წინ ავიადაბომბვის უჩვეულო ხმამ დედოფლისწყაროელებიც დაზაფრა და შირაქის მიწას ნატყვიარის ნაცვლად შავი ორმოები დააჩნდა-აგვისტოს ომის სახსოვარი. შიშის, დაუცველობისა და უძლურების შეგრძნება დაეუფლა ყველას.

შედეგი საკმაოდ მძიმე დადგა - 5 დღიანმა ომმა უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, უფრო მეტი კი მშობლიური მიწისა და სახლის გარეშე დატოვა. საქართველოს კიდევ ერთი ნაწილი მოჰკვეთეს. დაღუპული 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 169 სამხედრო, 14 პოლიციელი და 3 ჟურნალისტი, დაჭრილი 1 747 ადამიანი... ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი - დაკარგული კოდორის ხეობა და შიდა ქართლის ათეულობით სოფელი... 150 000 ადამიანი რომელიც იძულებული გახდა საკუთარი სახლი დაეტოვებინა და 30 ათასი ადამიანი, ვინც დღემდე დევნილობაში რჩება...

ისტორიას შეემატა ომის ფურცელი და მასთან ერთად სამშობლოს შეწირული გმირების სახელები.
ისინიც ღიმილის ბიჭები იყვნენ. ზოგი 18-ის, ზოგი კი ოცს გადაცილებული... სამშობლოს დასჭირდა და უყოყმანოდ წავიდნენ ომში, ზოგიერთმა იარაღის დაჭერაც კი არ იცოდა სათანადოდ, მაგრამ ამაზე არც უფიქრიათ. სიცოცხლეზე და სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებულებმა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლეს. უკან დახევა და ბრძოლის ველიდან გამოქცევა მათთვის მიუღებელი იყო.
იცოდნენ, სად მიდიოდნენ. ისიც იცოდნენ, რომ უთანასწორო ბრძოლიდან შეიძლება ცოცხლები ვეღარ დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ მაინც წავიდნენ.

მერე ზეციურ საქართველოში გადაინაცვლეს და ისტორიას თანამედროვე ღიმილის ბიჭებად შემორჩნენ...

ბრძოლის ველიდან გარდაცვლილების ცხედრებსაც აღარ ატანდა მტერი ქვეყანას. მშობლებს მათი დატირების უფლებისა და საფლავის გარეშე დატოვებისთვის იმეტებდა. გამარჯვების მიუხედავად, მკაცრი და გულბოროტი იყო მტერი, რომელიც კიდევ ერთხელ შეძრწუნდა ქართველების თავგანწირვით... კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ რიცხვმრავალი არმია მორალური გამარჯვების გარანტი არ არის! რომ ზოგჯერ დამარცხებაც გამარჯვების ტოლფასია!

* * *

ყოველ 8 აგვისტოს, სახელმწიფო დროშების დახრით, საქართველო პატივს მიაგებს სამშობლოსათვის დაღუპული გმირების ხსოვნას. რა შეიძლება იყოს დახრილ დროშაზე უფრო საზარელი სანახავი... იმ დახრილ დროშაზე, რომლის გათელვას და შეურაცხყოფას გმირმა სიკვდილი ამჯობინა.
ქალაქში მდუმარედ მიიწევდა გრძელი პროცესია. მზე გადასულიყო, საღამო ახლოვდებოდა...
თეთრწვერა გმირის მშობელი, ყურში ჩასჩურჩულებს ატირებულ შვილიშვილს: „მამაშენი გმირია, შვილო, გმირს ტირილი არ შეშვენის. გმირზე ლოცულობენ“!
რა შეიძლება იყოს ამ სიტყვებზე უფრო ძლიერი?!

ინგა შიოლაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე" საწყისი ფასი (%)	„ბიჯი" საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის" ფასი (ლარებში)
1	ქ.დედოფლისწყარო რუსთაველის ქუჩა	N1 შენობა-ნაგებობის მეორე სართული	129,6 კვ.მ. (N1 შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ფართი)	52.08.35.255	30 000	10%	5%	100
2	ქ.დედოფლისწყარო ჰერეთის ქუჩა N23	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	9კვ.მ.	52.08.34.081	600	10%	5%	100
3	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო მაჩხაანი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	971კვ.მ. (მიწა) 71,72 კვ.მ. (შენობა-ნაგებობის გაშენების ფართი)	52.01.33.008	1000	10%	5%	100
4	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხორნაბუჯი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	2100კვ.მ.	52.06.34.003	8500	10%	5%	100
5	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2, N3, N4	11260კვ.მ. (მიწა) შენობა-ნაგებობის გაშენების ფართი: N1-81,41კვ.მ., N2-16,64კვ.მ., N3-458,81კვ.მ., N4-7,5კვ.მ.	52.12.31.018	32 000	10%	5%	100
6	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ფიროსმანი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2.	8258კვ.მ. (მიწა) შენობა-ნაგებობის გაშენების ფართი: N1-883,44კვ.მ., N2-263,46კვ.მ.,	52.12.33.004	20 000	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, **მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი**, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

„ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი- 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე" დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე" უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: **ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.**

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

საუქციონო კომისია

სოციალური ზრუნვის მესამე ეტაპი შემუშავდა

მოქალაქეებზე ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის შემდგომი – III ეტაპი შეიმუშავა:

StopCov ფონდში საქართველოს მოქალაქეებთან,ბიძინა ივანიშვილთან და ბიზნესთან ერთად ფინანსების მობილიზების შედეგად, ოჯახების და მათი შვილების დასახმარებლად შემუშავებულია ახალი სოციალური პაკეტი - **17 წლის ასაკის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე გაიცემა 200-ლარიანი დახმარება.**

კომუნალური გადასახადების მხარდაჭერის პროგრამა გაგრძელდება ზამთარშიც - **4 თვის განმავლობაში - ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი - დაფინანსებას მიიღებს ყველა ის ოჯახი, რომელიც მოიხმარს 200 კვ. საათამდე ელექტროენერგიას და 200 მ3-მდე ბუნებრივ აირს.**

80 000-მდე თვითდასაქმებულს, ვინც ვერ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია, მაინც მიიღებს 300-ლარიან კომპენსაციას სექტემბრის დასაწყისამდე (170 000-ზე მეტმა თვითდასაქმებულმა დახმარება უკვე მიიღო).

150 000-მდე სოციალური ქულის მქონე სტუდენტებს დაუფინანსდებათ ნახევარი წლის (2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის) სწავლის საფასური - 1125 ლარი, ხოლო 150 000-მდე სოციალური ქულის მქონე სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს დაუფინანსდებათ 1 წლის (2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის) სწავლის საფასური - 2250 ლარი.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის დასაწყისიდანვე სახელმწიფომ ორი მთავარი მიზანი დაისახა - ზრუნვა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, და ზრუნვა მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

პირველივე ეტაპზე, გადაუდებელი ღონისძიებების სახით, დაახლოებით 1.2 მლნ ოჯახს დაუფინანსდა 3 თვის კომუნალური გადასახადი, 600 ათას მოქალაქეს გადაუვადდა კომერციული სესხების გადასახადი, ხოლო ტურიზმის სექტორის კომპანიებს გადაუვადდათ საშემოსავლო და ქონების გადასახადი და სხვ.

ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპი მოიცავდა კონკრეტულ დახმარებებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის, მათ შორის 1200-ლარიანი დახმარება მიიღეს მათ, ვინც დაკარგეს სამსახური, 300-ლარიანი კომპენსაციის გაცემა დაიწყო თვითდასაქმებულებისათვის, ასევე კომპენსაციები (6 თვის განმავლობაში - 100 ლარი ყოველთვიურად) მიიღო სხვადასხვა მოწყვლადმა ჯგუფმა: შშმ პირები და შშმ ბავშვები, მრავალშვილიანი ოჯახები და სხვ. დღეის მდგომარეობით სხვადასხვა სახის კომპენსაცია მიიღო 560 ათასზე მეტმა მოქალაქემ და კომპენსაციების გაცემა ჯერ კიდევ გრძელდება.

ასევე, აქტიურად ხორციელდება მიზნობრივი მხარდაჭერის ანტიკრიზისული პროგრამები ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და დეველოპერულ სექტორებში, რაც ხელს უწყობს დარგების კრიზისიდან სწრაფად გამოსვლას და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას.

***

„არჩევნები არის მიმდინარე პოლიტიკური პროცესის ნაწილი, ჩვენ ჯერ კიდევ, ყველანი ერთად, მოქალაქეებთან ერთად, ვებრძვით მძიმე კრიზისს და პირველივე დღიდან ვთქვით, რომ კრიზისის ხანგრძლივობიდან გამომდინარე ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერა მოქალაქეების სოციალურად ფართო წრეებისა იქნება თანმიმდევრული და გონივრული, აუცილებლობიდან გამომდინარე, -“ ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის ადმინისტრაციაში 7 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, პარლამენტის ტრიბუნასთან დგომისას მთავარი პრეტენზია მოქალაქეების დახმარების რაოდენობას შეეხებოდა, რასაც გიორგი გახარიამ სპეკულირება უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობისთვის მთავარი სწორედ მოქალაქეა, რომელსაც დღეს, სამწუხაროდ, ოჯახში შემოსავალი შეუმცირდა.

„პარლამენტში როდესაც ტრიბუნასთან ვიდექი ძირითადი პრეტენზია იყო რატომ ეხმარებით ასე ცოტათი მოქალაქეებსო. ეს ყველაფერი არის სპეკულირება. მთავარი ჩვენთვის არის ჩვენი მოქალაქე, რომელსაც დღეს, სამწუხაროდ, ოჯახში შემოსავალი შეუმცირდა და უბრალოდ უჭირს. შესაბამისად, ახლა ჩვენი და ჩემი ამოცანა, როგორც ამ მთავრობის ხელმძღვანელის არის მოქალაქეების მიზნობრივი დახმარება, სოციალური დახმარება, რათა ის მოხმარების დონე, რაც მათ ჰქონდათ და განსაკუთრებით ბავშვებს, მაქსიმალურად დავეხმაროთ, რომ როგორმე შეინარჩუნონ. რამდენიც არ უნდა დასჭირდეს, ღარიბი ქვეყნის ეკონომიკის გათვალისწინებით, რისი შესაძლებლობაც გვექნება სწორედ ასე, მიზნობრივად გავაგრძელებთ ჩვენი მოქალაქეების დახმარებას,“- აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი გახარიამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე. მანვე აღნიშნა, რომ მიუხედავად პირდაპირი ფრენების აღდგენისა, ტურისტების რაოდენობა ძალიან ცოტაა.

„ჩვენს მოქალაქეებს აინტერესებთ რატომ და მიზეზშედეგობრივი კავშირი რა არის. როდესაც კრიზისი დაიწყო პირველი გამოვედით და ვთქვით, რომ ერთი - კომუნალური ხარჯები, მეორე - სესხების გადავადება და პირდაპირი მიზნობრივი მხარდაჭერა გვქონდა ტურისტული სექტორისთვის. ზუსტად 1 თვეში ნათელი გახდა, რომ ზღვაში წვეთია ეს საერთოდ და სასაცილო იყო უკვე ეს ციფრები. შემდგომ დავსხედით, ვიმუშავეთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მოვიზიდეთ დამატებითი რესურსები და გამოვედით და ვთქვით, რომ ყველა ადამიანმა, რომელმაც დაკარგა სამსახური ექნება 1200 ლარი 6 თვის განმავლობაში, თვითდასაქმებულებს 300 ლარი, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და ა.შ. ამის შემდგომ ჩვენ ყველანი ერთად, ჩვენს მოქალაქეებთან ერთად ვემზადებოდით, ეფექტურად ვმართავდით ეპიდემიის გავრცელებას და ვემზადებოდით იმისთვის, რომ ქვეყანაში საზღვრებს გავხსნიდით და ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორს - ტურიზმს ავამუშავებდით. ტურიზმის გადაცემის ეფექტი არის უდიდესი, ეს იყო ძირითადი გათვლა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ დაახლოებით ივნისში თუ არა ივლისში ტურიზმის ნელ-ნელა აღდგენას დავიწყებდით და ქვეყანაში შემოსავლები დაიწყებოდა, შემოსავლები, რომლებიც ეხება უამრავ ადამიანს, დასაქმებულს ტურიზმის სექტორში, რესტორნებში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ. ყველა ერთად ვხედავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პირდაპირი ფრენები აღვადგინეთ მაგალითად მიუნხენთან, პარიზთან, ვენასთან, კიდე რამდენიმე ქალაქთან, ზღვაში წვეთია. თითო ოროლა ტურისტს თუ იპოვით თბილისში მოსეირნეს და, რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, ის რაც ხდება გლობალურ ეკონომიკაში. არავინ თვლის დღეს, რომ გამოსავალს იქიდან რაც ხდება გლობალურ ეკონომიკაში იპოვის წლის ბოლომდე, ან თუნდაც მომავალი წლისთვის. ამიტომ ყველას კარგად გვესმის, რომ შევდივართ გრძელვადიან, ღრმა ეკონომიკურ კრიზისში,“- განაცხადა მთავრობის მეთაურმა.



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №452

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი-„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ივლისის № 474 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

მამუკა ალადაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მალხაზ მერაბიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

ირინა ზელენსკაია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

იოსებ ბუთხუზი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ზურაბ ჯანგულაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2020 წლის 3 აგვისტოდან 2020 წლის 26 დეკემბრამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.(ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.)

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წევვამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“.

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 3 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

11.ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 10 თებერვლის №88 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15). ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
მუნიციპალიტეტის მერი

ცხელი აგვისტო გრძელდება... გთავაზობთ ამ ომში დაღუპული გმირების ისტორიებს, რომელებიც გაზეთმა "პრაიმ ტაიმმა" წიგნად დაბეჭდა და „გმირები" უწოდა. ისინი, მართლაც, სამშობლოს შეწირული გმირები არიან...

გიორგი აბიათარი



„ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართ!" — ასე დაუძახებენ დედებს გიორგი აბიათარი და გოჩა ილურიძე ჯარში წასვლისას, უკვე სამარშრუტო ტაქსიდან...

გიორგი აბიათარი დედისერთაა, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ეხება. 18 წელი შეუსრულდება თუ არა, მაინც წავა...

2 თვეც არ იმსახურებს — ომი დაიწყება. მუხლზე პრობლემები ჰქონდა, ომში არ მიჰყავთ, კომისია უნდა გაიაროო. პირველი მანქანიდან ჩამოსვამენ. მეორე მანქანაში ავა და ომში მაინც წავა...

გიორგი აბიათარი კოჯორში დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, იზრდებოდა დედოფლის წყაროს რაიონში, სოფელ ჯაფარიძეში. დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია. დედისერთა იყო, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ვერ ანებივრებდნენ.

ლიზა აბიათარი, **დედა:** „შრომა უყვარდა, დაუზარელი იყო, მუდამ გვერდში მედგა, დიდი ადამიანივით შრომობდა, რომ წამოზარდა ცული აიღო ხელში, მეზობლებს შეშის ჩეხვაში ეხმარებოდა, ერთი-ორი კაპიკი რომ დარჩენოდა... ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები...

უყვარდა ფეხბურთი, ჭიდაობა... ხშირად უყურებდა სათავგადასავლო ფილმებს, ამბობდა, მე სიკვდილის არ მეშინია და აუცილებლად უნდა წავიდე ჯარშიო..."

გიორგი აბიათარმა 9 კლასის დამთავრების შემდეგ, კოლეჯში ჩააბარა მექანიზაციის ფაკულტეტზე.

2008 წლის 5 აპრილს გიორგის 18 წელი შეუსრულდა.

დედა: „ძალიან მინდოდა მისი დაბადების დღე რომ აღმენიშნა, აღვნიშნეთ, მაგრამ ბევრის დაპატიჟება ვერ შევძელი და მოვუბოდიშე, ყველა ვერ დაგიპატიჟე-მეთქი. მომეხვია, მერე რა მოხდა, 19 წლის თუ სამხედრო ნაწილში გავხდები, 20 წლის ხომ სახლში ვიქნები და მაშინ გადავიხადოთ დიდი დაბადების დღეო..."

დედამ გადაუხადა დაპირებული დიდი დაბადების დღე, ყველა იყო — თანაკლასელები, ნათესავები, ჯარის მეგობრები. აღარ იყო გიორგი... გიორგი ვეღარც 19 წლის გახდა, ვეღარც ოცის...

დედისერთას ჯარში წასვლა არ ეხებოდა, მაინც წავიდა.

დედა: დედისერთა იყო ჯარში არ მიჰყავდათ, მისი კლასელები მიდიოდნენ და ამბობდა, მეც აუცილებლად უნდა წავიდეო და წავიდა თავისი ინიციატივით. გოჩა ილურიძესთან ერთად იყო სამარშრუტო ტაქსში, ფანჯარა გააღეს და დაგვიძახეს, ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართო. 27 მაისს წავიდა ჯარში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში იყვნენ, კარანტინს როდესაც მორჩნენ, მკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში გადავიდე თუ დაცვაში დავრჩეო. ნათესავებსაც ჰკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში ურჩიეს. კრწანისში მსახურობდა. ყოველ შაბათ-კვირას ვაკითხავდი, არასოდეს დაუწუწუნია, მაშინაც კი, როცა მუხლზე პრობლემები შეექმნა. 27 ივლისს ღუდუშაურის კლინიკაში მყავდა, მისი მდგომარეობა რომ ნახეს, უთხრეს სამსახურიდან გაგიშვებთო. უარი თქვა, სამსახურს არ მივატოვებ, უბრალოდ, ცოტა ხანი დრო მომეცით, რომ ვიმკურნალოო. 9 აგვისტოს კომისია უნდა ყოფილიყო, უნდა გამოეშვათ... კარგი უფროსობა ჰყავდა, ყურადღებას აქცევდნენ... ბოლოს მაშინ ვნახე, 27 ივლისს, ღუდუშაურის კლინიკაში რომ მყავდა... მთელი დღე ხელი ჰქონდა გადახვეული და მიყვარხარო, მიმეორებდა... რომ გამომაცილა, ჩამეხუტა და ისე დამემშვიდობა.... მას მერე მისი ხმა აღარ გამიგია... 2 აგვისტოს ილიაობაა და მითხრა, შენ ნუღარ ჩამოხვალ, დედი, მე ჩამოვალო...

ომში რომ მიდიოდნენ, გიორგი არ მიჰყავდათ, მანქანიდან ჩამოუსვამთ, შემონმება გაქვს გასავლელიო, მაგრამ მანქანაში მაინც ასულა, შემდეგ უკვე გორში უნახავთ, ტყვიაწამალს რომ ურიგებდნენ".

გიორგი აბიათარი 8 აგვისტოს, ერედვში დაიღუპა – მტრის ჩამოგდებულმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

დედის გულმა იგრძნო თავს დამტყდარი უბედურება.

„რაღაცას ვგრძნობდი, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. სულ ტელევიზორს მივჩერებოდი, იქნებ რამე გამეგო, ხან ხვიჩას დედასთან ავდიოდი, იქნებ იმან გაიგო რამე-მეთქი, სადაც ხალხს დავინახავდი შეკრებილს, იქ მივდიოდი, ჩემს დანახვაზე იშლებოდნენ... მიკვირდა რა ჭირთ-მეთქი, მეზობელთან მივედი, გიორგის ვერ ვუკავშირდები, გამომყევი, ბილაინის ბარათი მაყიდინე, დამეხმარე-მეთქი, ეს რომ ვთხოვე, მეზობელმა ზურგი შემაქცია, მეორე მეზობელს უთხრა: წაიყვანეო... თურმე ყველამ იცოდა ჩემი უბედურება, სოფელში მოსულან და უთქვამთ, როგორ მივიდეთ დედამისთანო... როგორმე უნდა გავაგებინოთო. ჩემს დისშვილთან მისულან, ჩემ დასთან... მეზობლები შინ არ მიშვებდნენ, მარტო არ მტოვებდნენ... ჩემი მეუღლე მოვიდა მერე, დაიხარა, მაკოცა. გამიკვირდა, რა მოუვიდა-მეთქი. ჩემს მეუღლეს უკვე სცოდნია რომ შვილი აღარა გვყავს... მითხრა, წადი სახლში, მეც მალე მოვალო. მივედი სახლში, ჩემი და ჩამოიყვანეს, ჩემმა დამ სახლში შემიყვანა, ჩემმა დისშვილმა შემომაპარა, გიორგი დაჭრილიაო... 11 საათზე დარეკავენ და გვეტყვიან სიმართლესო. თურმე 11 საათს ელოდებიან, რომ მოასვენონ გიორგი. მთელი სოფელი ჩემთან სახლში იყო, მთელი სოფელი ფეხზე იდგა, ერთად მოასვენეს ჩემი შვილი და ილურიძე...

14 აგვისტოს დავკრძალეთ ჯაფარიძეში. ბიჭები ხშირად ადიან გიორგის საფლავზე... ძალიან რთულია და გაუსაძლისი გიორგის გარეშე ცხოვრება.

ძალიან უნდოდა, რომ სამხედრო ბილეთი მალე აეღო და სასაზღვრო პოლიციაში დაეწყო მუშაობა, ძალიან უნდოდა, რომ ფორმა სცმოდა... ძალიან თბილი და კარგი დედაშვილობა გვქონდა. შვილი რომ მეყოლება აუცილებლად შენი სახელი უნდა დავარქვაო, მპირდებოდა...

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. რაიონის ცენტრში გაკეთდა მემორიალური დაფა და მოედანი, რომელსაც „სამშობლოსთვის თავდადებულის" სახელი დაერქვა...

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მენატრება ჩემი შვილი... ერთადერთი ისღა მაცოცხლებს, რომ მისი სულისთვის ვილოცო. მე გამწარებული, მაგრამ მაინც ამაყი დედა ვარ, რადგან გმირი გამიზრდია.

თეიმურაზ ბერიძე

შინდისში მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სნაიპერმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გმირმა ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თემურ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამი ზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვიტოს კი შინდისში დაეცა.

ფუტკარაძე მანანა, მეუღლე:

„ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსულიო, თუმცა ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეო... თურმე ალყაში იყო, შინდისში, ზოიძემ და მისმა ნათლიამ, რომ აიფეთქეს თავი იმ ტერიტორიაზე. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მძიმედ დაჭრილი ყოფილა და კვდებოდაო... რკინიგზასთან ახლოს დალუპულა.

მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრჩობს, როცა იხსენებს: „ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი თავიდანვე მომეწონა, შევქმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლინახევრის რომ იყო, ბავშვს წნევამ დაარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილებთან სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც.

კონტრაქტზე შესვლა 2006 წელს გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულიანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მაშინვე სენაკში გადაანაწილეს. მეორე ქვეით ბრიგადაში იყო. წოდებით კაპრალი.

მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღლილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს, რომ დავამთავრებ კიდევ უნდა გავაგრძელოო, მაგრამ ისიც ვერ დაამთავრა და დაგვტოვა მარტო...

სანამ ომი დაიწყებოდა ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცილე. სახლიდან, რომ გადიოდა, ორჯერ შემოტრიალდა. ბავშვები ჩაკოცნა და მეც გამომემშვიდობა. ორ დღეში დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალით აღარ მინახავს...

ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე და 9 აგვისტოს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, „სამშვიდობოს ვარო"- თურმე მტრის ალყაში ყოფილა.

გიჟივით დავიწყე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ვეღარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლამეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრიარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაყვანად, ჩემი მეუღლეც მაშინ გადმოასვენეს. მალევე ამოიცნეს და პირდაპირ კახეთში ჩამოასვენეს.

თემური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი."

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირი თეიმურაზ ბერიძე 5 წლის შემდეგ, მშობლიურ მხარეში გადმოსვენეს და ფერიის პანთეონში დაკრძალეს.

კაპრალი თეიმურაზ ბერიძე 2008 წლის 11 აგვისტოს შინდისში დაიღუპა, იგი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის N7 განკარგულებით დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისთვის", მისი სახელის უკვდავსაყოფად კი ბათუმის თვითმმართველობამ 2012 წლის 8 აგვისტოს, მახინჯაურში ერთ-ერთ ქუჩას თეიმურაზ ბერიძის სახელი

მიანიჭა.

თეიმურაზ ბერიძეს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად აჭარაში გადავიდა, სწორედ ოჯახის მოთხოვნით დაღუპული სოფელ ფიროსმანიდან ბათუმში გადაასვენეს.

გოჩა ილურიძე

გოჩა ილურიძე სულ 18 წლის ბიჭი იყო, სამშობლოს დასაცავად რომ გაიწვიეს და წავიდა ჯარში, უფროს ძმას რჩევაც ჰკითხა, კონტრაქტი ხომ არ გავაფორმოო. ძმამ სპეცნაზში შესვლა ურჩია. შევიდა.

მტერმა მხოლოდ 2 თვე მისცა... და არც დიდი სიყვარულის მოსვლა აცადა, რომელსაც ელოდა...

ომი დაიწყო...

8 აგვისტო. ერედვი. სპეცრაზმელები ჩრდილში ისვენებენ. გადაღლილები არიან, ორი დღეა ფეხით მოდიან. გადაქანცულებს იმედი უნთებთ გულებს – იმედი გამარჯვებისა. კასეტური ბომბი... რამდენიმე წამი... აფეთქება...

გოჩა იქვე, იმ წამსვე დაიღუპა...

გოჩა ილურიძე 1990 წლის 14 თებერვალს დაიბადა. იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ზემო ქედში.

მანანა ყაბანაშვილი, დედა: „ძალიან სერიოზული ბავშვი იყო, ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ერთი წუთი ვერ ჩერდებოდა, სულ შრომობდა და რაღაცას აკეთებდა. უყვარდა სპორტი, ჭიდაობაზე სიარული უნდოდა, ვერ ვატარეთ... ვერ შევუწყეთ ხელი.... თავისით ვარჯიშობდა სახლში, „გირებით“, „ტურნიკზე“... რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, მაინც გამონახავდა დროს და რამდენიმე წუთი ვარჯიშობდა. სწავლით საშუალოდ სწავლობდა, სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება არ უფიქრია. ჯარში უნდოდა წასვლა, ჩემი უფროსი ბიჭი ვაზიანში მსახურობს, კონტრაქტორია და მის შემხედვარეს, გოჩასაც თავიდანვე განზრახული ჰქონდა, სავალდებულოს მოხდის მერე, ჯარში დარჩენა კონტრაქტზე. ძალიან მშრომელი იყო. არაფერს თაკილობდა, ორთაჭალაში ციხეებს რომ ანგრევდნენ, იქაც მუშაობდა. სოფელში ჯართზე მუშაობდა. თავისი ორი კაპიკი ყოველთვის ჰქონდა. ის კი არა, ჩვენც გვარჩენდა თავისი შემოსავლით...“

2008 წლის 14 თებერვალს გოჩა 18 წლის გახდა და მალევე გაიწვიეს კიდეც ჯარში.

„25 მაისს მოუვიდა უწყება, მე სამუშაოდ ვიყავი წასული და სამსახურში ჩამომაკითხა, უწყება მომიტანეს და უნდა წავიდეო. იმ დღეს მისი დეიდაშვილის დაბადების დღე იყო და თელავში მიდიოდა. მითხრა: თელავში წავალ, 26-ში მამიდასთან მივალ რაიონში და იქიდან წავალ პირდაპირ ჯარშიო. წავიდა დაბადების დღეზე, მოილხინა. გულმა არ მომითმინა, ბავშვი ჯარში რომ წაიყვანონ, როგორ არ უნდა გავაცილო მეთქი, 27 მაისს დილაუთენია კომისარიატში ჩავედი, იქ ველოდებოდი. ცოტა დაიგვიანა, ძალიან დაღონებული მოვიდა. გადაუღეს სურათები და „მარშრუტკაში“ რომ ჯდებოდა, გადამეხვია, დამკოცნა და გამომემშვიდობა. ძალიან დაღონებული იყო. რა ვიცოდი, რომ ჩემს შვილს ცოცხალს უკანასკნელად ვხედავდი...

ერთი თვე ქუთაისში, გეგუთის ნაწილში ჰყავდათ. ფიცი, რომ მიიღეს, იქიდან კრწანისში გადაიყვანეს, სპეცდანიშნულების რაზმში.

ძმისთვის უკითხავს, კონტრაქტზე ხომ არ გადავიდეო. ძმამ ურჩია სპეცნაზში გადადიო... სულ ორი თვე იმსახურა ქვეყნის დასაცავად და მის თავისუფლებას შეეწირა...

მისი მეთაური ამბობს, საამაყო ჯარისკაცი მყავდაო. გამოვიყვანდი ხოლმე, დავაყენებდი და სხვა ჯარისკაცებს მივმართავდი, მიბაძეთ ამ კაცს და იყავით ასეთი ვაჟკაცები, როგორიც გოჩააო...

ხშირად ველაპარაკებოდით ტელეფონზე, ძალიან მოსწონდა ჯარში ყოფნა, ვარჯიშობდა და თავს კარგად გრძნობდა. ერთხელ მითხრა: სირბილში მეორე ადგილი ავიღეო...

ბოლოს 6 აგვისტოს ველაპარაკე, დაგვიმალა, მომატყუა მარნეულში ვართ ნაწილში, ვვარჯიშობთო. ჩვეულებრივ გველაპარაკა, არაფერი ისეთი არ უთქვამს, რომ რამეზე დავეჭვებულიყავი. უთქმელი ბავშვი იყო, არაფრის თქმა არ უყვარდა... რაც ჯარში წავიდა, მას მერე აღარ მინახავს...''

დაიწყო აგვისტოს ომი. გოჩაც და მისი უფროსი ძმაც ომში იბრძოდნენ, დედა დაკავშირებას ვერ ახერხებდა ომში წასულ შვილებთან.

„ვერაფრით ვუკავშირდებოდი ბიჭებს, ომი იყო და 2 შვილი სად მყავდა, არ ვიცოდი. 9 აგვისტოს გოჩას უსულო სხეული მომიტანეს სახლში, დედა მოუკვდეს...

7 აგვისტოს გორში ჩაუყვანიათ და შემდეგ ერედვში შესულან.

ორი დღე და ღამე ფეხით უვლიათ და დასასვენებლად ხის ჩრდილში გაჩერებულან, მეთაურებს უთქვამთ, დაისვენეთ ცოტა ხანიო. მაგ დროს დაწყებულა დაბომბვა... ზოგი წამომჯდარი ყოფილა, ზოგიც წამოწოლილი, კასეტური ბომბი, რომ ჩამოუგდია თვითმფრინავს, რამდენიმე წამი რომ გასულა, მერე აფეთქებულა, ვინც ფეხზე წამომდგარა, ძირითადად ისინი დაიღუპნენ და დაიჭრნენ... გოჩა მაშინვე დაღუპულა, მარჯვენა ფერდში ჰქონდა ჭრილობა, მეორე მხარეს გადიოდა... ამ დროს უფროსი ბიჭი უკვე ცხინვალში იყო. არც ის გვეუბნებოდა სად იყო... ერთმანეთი ვერ უნახავთ, ვერც ვერაფრით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს...“

გოჩას დაღუპვის ამბავი გამგეობას შეატყობინეს, მაგრამ ვერავინ ბედავდა ეთქვა დედისთვის - შვილი აღარ გყავსო.

დედა: „მთელი დღე არაფერს მეუბნებოდნენ, შებინდებისას მთელი ეზო გაივსო... ჩემს თავს რომ უბედურება ტრიალებდა, მივხვდი, ვერავინ მიბედავდა თქმას, მე უფროს ბიჭზე ვფიქრობდი, გიორგის ხომ არ დაემართა-მეთქი რამე. გოჩაზე ერთი წამით ცუდი არ მიფიქრია...

უამრავი ხალხი იყო ჩვენს ეზოში, არ მეუბნებოდნენ სახელს, რომელი დაიღუპა... მერე ჩემმა ნათლიამ მითხრა: გოჩა აღარ გყავთო... გიორგის 10 აგვისტოს გავაგებინეთ ძმის დაღუპვა, ბიძამ დაურეკა და ჩამოიყვანეს. 14 აგვისტოს დავკრძალეთ გოჩა...

არ გადის წუთი და წამი, რომ თვალწინ მისი სახე არ მედგას...

პატარა ძმას შეისვამდა მოლმე კისერზე და დაატარებდა. ძალიან ათამამებდა, მიჰყავდა მაღაზიაში, ტანსაცმელს და კანფეტებს ყიდულობდა...

ამბობდა სიყვარულის დღეს ვარ დაბადებული და დიდი სიყვარული მეწვევაო. შეყვარებული არ ჰყავდა, ერთი გოგო მოსწონდა, მაგრამ არაფერს ამბობდა ჩვენთან. მისმა მეგობრებმა გვითხრეს მერე...

მორიდებული და უთქმელი ბიჭი იყო, მისი ზემდეგი ამბობს, მე გოჩას თვალები არ მახსოვს, სულ თავჩაღუნული იდგა და ისე ლაპარაკობდაო...

ხათრიანი ბიჭი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი. კლასელები იხსენებენ, ჩხუბში რომ ვიყავით და გოჩას დავინახავდით, უკვე აღარ გვეშინოდაო. გამხდარი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი...“

გოჩას მშობლიურ სოფელში, ყოველ 9 აგვისტოს, გოჩას სახელობის ტურნირს ატარებენ ფეხბურთში...

მასალები მომზადებულია წიგნიდან „გმირები“

გიორგი მარსაგიშვილი — გმირი ეკიპაჟიდან „კობრა“

აგვისტოს ომის კიდევ ერთი დედოფლისწყაროელი გმირი, რომელიც მარადიული „ღიმილის ბიჭების“ არმიას შეუერთდა

გიორგი მარსაგიშვილი, ზემო ქედელი ახალგაზრდა, განსაკუთრებულ დავალებათა მესამე სამმართველოს სწრაფი რეაგირების მოიერიშე ათეულის მეთაურის მოადგილე, იმ გმირებს შორისაა, რომელთა კვალიც ცხინვალში იკარგება.

საქართველოს კანონმდებლობით, თუ ადამიანი ორი წლის განმავლობაში ვერ მოიძებნა, გარდაცვლილად ცხადდება. შესაბამისად, კანონით, გიორგი მარსაგიშვილიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულად არის შერაცხული, თუმცა მისი ცხედარი აღმოჩენილი ვერ იქნა და მისი გაუჩინარებაც ბურუსითაა მოცული. გიორგი მარსაგიშვილს შს სამინისტროში მუშაობა სამი თვის დაწყებული ჰქონდა. განსაკუთრებულ დავალებათა მე-3 სამმართველოში კონკურსის წესით შეირჩა. ოჯახს იგი 2008 წლის ივლისიდან აღარ უნახავს. ომში წასვლამდე ერთი თვე კოდორში იყო მივლინებით. თბილისში 7 აგვისტოს დაბრუნდა და სახლში მისვლაც ვერ მოასწრო, რადგან შს სამინისტროში, ცხინვალში შექმნილი ვითარების გამო, ყაზარმული მდგომარეობა გამოაცხადა.

გიორგი 1981 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა დედოფლისწყაროში. პატრიოტი ახალგაზრდა აგვისტოს ომში პირველივე დღეებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მას მეუღლე და ერთი შვილი დარჩა, ლიზი.

ალინა მარსაგიშვილი, გიორგი მარსაგიშვილის მეუღლე: „გიორგი ერთი თვე ნანახიც არ გვყავდა. კოდორში იყო. იქიდან ჩამოსვლა მოასწრო, სანამ სიტუაცია გართულდებოდა, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, ყაზარმული გამოცხადდა. სახლში მოსვლა ველარ მოასწრო, წავიდა ომში და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

– ბოლოს როდის ესაუბრეთ მას?

- 7 აგვისტოს ვესაუბრე ტელეფონით, მაგრამ იქ არსებულ სიტუაციაზე, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობდა. მას შემდეგ ველარ დავუკავშირდით. ვიცით მხოლოდ, რომ ააფეთქეს დაჯავშნული ავტომანქანა ,,კობრა'', რომელშიც ის იყო ეკიპაჟის რამდენიმე წევრთან ერთად. ჩემი მეუღლე დღემდე ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, კანონის შესაბამისად ორი წლის შემდეგ ის გამოაცხადეს დაღუპულად, მაგრამ დღემდე მისი ცხედარი ნაპოვნი არ არის. რომ ველარ დავუკავშირდით, ნაწილში მივედით, გვითხრეს ჯერ არაფერი ვიცითო, დღემდე ასეა. ჩვენ მინდობილი ვიყავით შს სამინისტროზე და გვჯერა და გვწამს, რომ უტყუარ ინფორმაციას მოგვაწოდებდნენ.

– რა შეგიძლიათ გაიხსენოთ მის შესახებ, რას იხსენებენ მისი თანამშრომლები?

- ამ თემაზე საუბარი არ უყვართ, არაფერს ამბობენ და არც იხსენებენ, იმიტომ რომ ,,კობრას'' ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა. ჩემი მეუღლე მაშინ 26 წლის იყო, ბავშვი სამი წლის ხდებოდა, მაგრამ მამა ძალიან კარგად ახსოვს. დღე არ გავა, არ გაიხსენოს. იცის, რომ მამა ომში დაეღუპა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა იყო, როგორც ჩანს, ოჯახში, ჩვენი საუბრებიდან გააანალიზა, მე მისთვის კონკრეტულად არაფერი მომიყოლია. ლიზი მამამისის ასლია, ერთმანეთის განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ, ჩემს შვილს არ გავათხოვებ, ეს მამიკოს სიცოცხლეაო, ამბობდა. **თავისუფალ დროს სულ შვილთან ატარებდა. ძალიან უყვარდა თავისი სამსახური, ძალიან მონდომებული და პატრიოტი, სულით ხორცამდე იყო ჩართული თავის სამსახურებრივ საქმიანობაში. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ფორმას, რომელიც მან ჩაიცვა.**

- ცხინვალის ცენტრში შესვლას დიდი გამბედაობა სჭირდებოდა...

- დიახ, ეს იყო ძალიან დიდი გმირობა. **ის მოხევე იყო, სისხლი და ჯიში მაინც თავისას შვრება, ეს მამაცობა მას გენში ჰქონდა. შეიძლება გრძნობდა კიდეც საფრთხეს, ბოლო პერიოდში აკვიატებული ჰქონდა, მე მთებში უნდა დავიმარხოო.**

- როგორ ფიქრობთ, მისმა ქვეყანამ დაუფასა გმირობა თქვენს მეუღლეს?

- დიახ, ძალიან დიდ ყურადღებას ვგრძნობთ შს სამინისტროს მხრიდან. საჩუქრად ბინა გადმოგვცეს, დამასაქმეს. ბავშვზე ზრუნავენ, კარგ სკოლაში მიიყვანეს და ყოველთვის იზიარებენ ჩვენს გასაჭირს და პრობლემებს.

- როცა ადამიანს არა აქვს საფლავიც კი და ის ცხადდება გარდაცვლილად, ალბათ, ერთის მხრივ ძალიან მძიმეა, მაგრამ არის თუ არა ეს დამაიმედებელი გარემოება თქვენთვის?

- როცა ადამიანს არ დაასაფლავებ, მაინც რაღაც გულის სიღრმეში არის და სანამ ვიცოცხლებთ, გვექნება იმედი, რომ ოდესმე გამოჩნდება.

რის იმედით მოვიდა ახალგაზრდა კაცი ხელმძღვანელად

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, მას მერე, რაც თავისუფლება მოვიპოვეთ, ბევრი პრობლემის წინაშე დავდექით: უშუქობა, უგაზობა, უწყლოობა, პურის რიგები, ნავთის ქურები და ლამპები, ნახშირის უთოები, საუბნო გათბობის ორიგინალური წყაროდამწვარი საბურავები და მისი ჭვარტლით გამოტენილი ცხვირის ნესტოები... უამრავი რამ შეიძლება გაიხსენო, მაგრამ ეს იყო წარსული, ბევრი რამ მოგვარდა- აღარ ვუჩივით უშუქობას და უგაზობას, კეთილმოეწყო გზები, პარკები... თუმცა, უწყლოობა დედოფლისწყაროსთვის კვლავ აქილევსის ქუსლად დარჩა. მიდიან და მოდიან მთავრობები, პარტიები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, იცვლებიან წყალმომარაგების უფროსები, მაგრამ ზამთარ-ზაფხულს წყლის გრაფიკით მიწოდებას, ქალაქის ბევრ უბანსა და ქუჩაზე წყალმზიდით მიტანილი წყლის უბარაქობას და სატანჯველს დასასრული არ უჩანს. სამ თვეზე მეტია, წვეთი წყალი არ ჩამოვარდნილა პრესის, სამთოელების, ევდოშვილის 1-2 -3 შესახვევებში, ლომის ქუჩის ერთ მონაკვეთზე, ხევსურების უბანში და ბევრ სხვა ნაწილში. უწყლოდაა დარჩენილი სოფელ ხორნაბუჯისა და სამრეკლოს ის ნაწილი, რომელიც რესურსის გაუთვალიწინებლად ქალაქის ქსელს მიუერთეს. დებეტის გაზრდის მიზნით ქალაქში არსებული წყაროები შეკრიბეს (თითო მილიც კი არ დატოვეს) ელიის ძირში გაკეთდა სადრენაჟო მოწყობილობა, მაგრამ არც ამან გაამართლა და ამ ზაფხულის ცხელ დღეებში ქალაქის მოსახლეობა სამართლიანად არის უკმაყოფილო წყლით უზრუნველყოფის საკითხზე. ახლა ერთადერთი იმედის სხივი მდინარე იორიდან მოდის. მთავრობა გვპირდება, რომ მომავალი ზაფხულისთვის, ანუ ერთ წელიწადში, დაიწყება და დასრულდება კიდეც მდინარე ივრიდან წყლის შემოყვანა, რაც უზრუნველყოფს დედოფლისწყაროში, ხორნაბუჯსა და სამრეკლოში 24 საათიან წყალმომარაგებას.

მრავალჯერ იმედგაცრუებული მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს ამ დაპირების ნაკლებად სჯერა და ეს წინასაარჩევნო ხრიკად მიაჩნია, ნაწილი იმედით არის აღსავსე და მზად არის, ქუდზე კაცს მოუხმოს, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ფიზიკურად იშრომოს და თავისი წვლილი შეიტანოს ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დასრულებაში. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, თუ რამდენად არის ხალხი უწყლოობით შეწუხებული. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელსაც ჩვენი წყლით უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს, დროდადრო საკადრო ცვლილებებით „აშოშმინებს“ მოსახლეობას და „იმედს უჩენს“, რომ ახალი მენეჯმენტით რაღაც შეიცვლება უკეთესობისკენ. ერთი ასეთი მანევრი ამ სამი-ოთხი კვირის წინაც განხორციელდა, საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრში ახალი მენეჯერი დაინიშნა. სიმონ ყოჩიაშვილი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ ცხოვრების მრავალმხრივი გამოცდილება აქვს. ენერგიით და ოპტიმიზმით სავსეს რის იმედი აქვს და რას ფიქრობს დღევნდელობაზე, მასთან საუბრიდან გავიგებთ. მანამდე კი, ცოტაოდენი რამ მისი ბიოგრაფიიდან: ***დაიბადა 1976 წლის 4 ივლისს სოფელ ჯაფარიძეში (დღევანდელი სამრეკლო) კარლო და ლამარა ყოჩიაშვილების ოჯახში მეორე ვაჟად. სკოლაში საკმაოდ კარგად სწავლობდა, ასევე წარმატებით დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტის კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ გერმანული პროექტით მიწის კადასტრის და რეგისტრაციის საკითხები შეისწავლა და 5 წელი თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტში მუშაობდა. გულმა ისევ მშობლიური ოჯახისკენ გამოუწია და 2006 წელს სოფლის გამგებლის მოადგილედ დაინიშნა. პარარელურად შექმნა ფერმერთა ასოციაცია „ველიანი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა. შემდეგი შვიდი წელი „ფრონტერა- ისტერნ-ჯორჯიაში“ გაატარა. ემიგრანტის მძიმე ბედიც გამოსცადა, როდესაც საუდის არაბეთში მექანიკოსის პოზიციაზე იმუშავა. ბოლოს ისევ „ფრონტერას“ დაუბრუნდა და ბოლოს კი იმ ადამიანების საიაში მოხვდა, რომლებიც „ფრონტერას“ სახელმწიფოსთან უთანხმოების დროს უსამართლოდ დაზარალდნენ. ცხოვრობს სოფელ სამრეკლოში მშობლებთან ერთად, ჰყავს მეუღლე-გულიკო ხუციშვილი და ორი შვილი- ნიკოლოზ და მარიამ ყოჩიაშვილები.***

ახლა კი ვისაუბროთ იმ რთულ საქმეებზე, რომელსაც ეს ახალგაზრდა შეეჭიდა.

-ამ რაიონში გაიზარდეთ და მისი ავკარგი უცხო არ არის თქვენთვის. ამ გაგანია ზაფხულში, როდესაც წყლით მომარაგებით გამოწვეული უკმაყოფილება პიკს აღწევს, არ ფიქრობთ, რომ ახლა ეს არცთუ მთლად მომგებიანი საქმეა, რატომ გადადგით ეს ნაბიჯი?

- ის, რომ რთული ვითარებაა, კარგად ვიცი, მაგრამ თუ ოპტიმალურად გამოვიყენებთ არსებულ რეზერვს, ცოტა შვებას მაინც მივცემთ მოსახლეობას. ოპტიმიზმის ყველაზე მთავარი საფუძველი კი ის პროექტია, რომელიც მდინარე ივრიდან დედოფლისწყაროში წყლის ამოყვანას ითვალისწინებს. ამის შესახებ არაერთხელ გაჟღერდა მთავრობის თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ. ზოგიერთი სკეპტიკურად არის განწყობილი, მაგრამ მე ასი პროცენტით მინდა დავარწმუნო მოსახლეობა, რომ მომავალ ზაფხულს ეს საქმე დასრულდება და ერთხელ და სამუდამოდ (თუ იორიც არ დაშრა) გადაიჭრება ეს პრობლემა. პროექტზე ტენდერი უკვე გამოცხადდა და მალე დაიძვრება საქმე. აქვე ვიტყვი, რომ ამავე პროექტის ფარგლებში გარემონტდება წყლის ორივე რეზერვუარი, რომელთაგან თითოეული 6.000 $მ^3$ ტევადობისაა. დღეისათვის მხოლოდ ერთ რეზერვუარს ვხმარობთ.

-ღმერთმა ქნას, ხელი მოგვემართოს. თუმცა, ასეთი დაპირება არაერთხელ მოისმინა ჩვენმა ხალხმა: მაშინ, როდესაც წყაროები ცენტრალურ წყალსადენს მიუერთდა, მაშინ, როდესაც ელიის ძირში დაიბურღა, თუმცა საქმე უკან და უკან წავიდა. ბოლო 2-3 წელი კი, მართლაც, გაუსაძლისი გახდა. აგვიხსენით, რა საშუალებებით ივსება დღეს ჩვენი რესურსი?

- ჩვენი დებეტია, ძირითადად, მაზოვკის, ატეკის და ხევსურების წყაროები, სტადიონის ტერიტორიაზე შემკრები რეზერვუარი, შინმოუსვლელთა მემორიალის ტერიტორიაზე არსებული დრენაჟი, რომელიც მაზოვკის სატუმბს უერთდება. ეს ყველაფერი წამში 14 ლიტრს შეადგენს, რაც მოთხოვნილების მინიმუმიც არ არის, რაც შეეხება ელიის ძირში არსებულ მარაგს, აქ ჭაბურღილები არ გვაქვს, როგორც ეს მოსახლეობას ჰქონია. აქ არის ჩამონაჟონი წყლების შემკრები რეზერვუარი, რომლის წარმადობასაც თავის დროზე, წამში 24 ლიტრს ვარაუდობდნენ. ამჟამად აქ 2-3 ლიტრი მოდის იმიტომ, რომ მკვეთრად შეიცვალა კლიმატური პირობები. ყველა ვხედავთ, რა მდგომარეობაშია ჯაფარიძის ტბა, სრულებით დაშრა ნიკორციხის წყარო. წყლის დონემ საგრძნობლად დაიწია, ან სულაც დაშრა საოჯახო ჭებშიც. ასე რომ, როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენი ერთადეთი ხსნა ივრიდან წყლის ამოყვანაა.

- იქამდე რას ვშვრებით?

- ძალიან კარგად მესმის, რომ ხალხს უკმაყოფილების რეალური მიზეზი აქვს. რაც ჩვენს ხელთაა, ვცდილობთ, მაქსიმალურად გრაფიკით მივაწოდოთ ხალხს, მაგრამ თავად ხალხმაც უნდა იფიქროს ერთმანეთზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიმიტირებულად მოვიხმაროთ სასმელი წყალი და ტექნიკური მოხმარებისთვის ზღვარს ნუ გადავალთ. გვახსოვდეს, რომ ჩვენს ონკანზე რომ წყალი მოდის, სხვასაც სჭირდება და ეკონომოიუად ვიხმაროთ. იმით სინდისის დამშვიდება, რომ მრიცხველი მიდგას და რასაც ვხარჯავ, ვიხდი კიდეცო, სამართლიანი არ არის. ბაღ-ბოსტნების მიგდებულ რწყვას ბევრი წყალი მიაქვს. მესმის, რომ ჩვენ სოფლის ტიპის დასახლება ვართ, ცოტაოდენი ბოსტნეული ყველას უდგას და მას წყალი სჭირდება, მაგრამ წვეთოვანი რწყვის სისტემის დამონტაჟება, რომელიც 20-30 ჯერ ნაკლებ წყალს მოიხმარს, ბევრს არ სურს.

ერთი სიტყვით, მორალური დეფიციტი გვჭირს- ჩამკეტი ურდულების გაკონტროლებას ვერ ავუდივართ. მოსახლეობის მიერ ურდულების თვითნებურად გადართვა-გადმორთვა აზარალებს ისევ მოსახლეობას-წნევა ვარდება და საბოლოო ჯამში, წყალი ვერც ერთ მხარეს ვერ აღწევს სრულყოფილად. მოსახლეობის მხრიდან ადგილი აქვს ურდულების დამტვრევის ფაქტებსაც. ჩვენ კი, კანონმდებლობით გათვალისინებული და გამაგრებული არც ერთი ბერკეტი არ გვაქვს მოსახლეობის თავნებობის შესაჩერებლად.

ზოგადად კი, ჩემი პირადი აზრით, გამოსავალი ერთია- წყლის გადასახადი ლიმიტირებული უნდა იყოს, მაგალითად, როგორც ელექტროენერგიაა. ზღვრული ნორმების ზღვრული და მზარდი გადასახადი თავისთავად დაარეგულირებს ამ საქმეს. თუ წყლის ხარჯი მოგებას გადაფარავს, მომხმარებელი თავად შეზღუდავს ხარჯვას. ეს კი სემეკის გადასაწყვეტია. დღეს 1 ტონას მოიხმარ თუ 50 ტონას, ერთი ტარიფით იხდი, რაც ვფიქრობ, არამართებულია. რაც შეეხება უბნებს და ქუჩებს, სადაც 3 წყალმზიდი გვემსახურება: ერთი რეგიონული წყალმომარაგებიდან, ერთი „სერვისი-2007“-ის და ერთიც სასაზღვრო დეპარტამენტის. რა თქმა უნდა, გვაქვს ხარვეზები, ყველას იმ წუთში უნდა დაკმაყოფილება, როგორც კი დარეკავს. ჩვენ კი ვცდილობთ, ისე გავანაწილოთ, რომ მანქანამ აქეთ-იქით კი არ ირბინოს, უბანში მისულმა ყველა მობინადრე დააკმაყოფილოს.

- სად ივსება წყალმზიდები?

-მაზოვკის წყაროზე.

- იქ ბევრი კერძო წყალმზიდებიც ივსება, რომელიც ამ წყალს მამასისხლად ჰყიდიან მოსახლეობაში, რადგან თქვენ, ბუნებრივია, სამი წყალმზიდით სრულად ვერ აკმაყოფილებთ მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამასთან, კერძო მანქანის მძღოლები თავს იმართლებენ, რომ წყლის ასავსებად თანხას იხდიან, ამას საწვავის ფასი ემატება და, საბოლოო ჯამში, ძვირადღირებულია წყალი, მაგრამ მაინც იყიდება.

-სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ მაზოვკის წყალზე ერთ თეთრსაც არავინ იხდის, იქ წყალი არ იყიდება, ეს სიცრუეა.

-მაზოვკის წყლის გარშემო გამეფებულ ანტისანიტარიაზე რას იტყვით?

-გეთანხმებით, ანტისანიტარიაა,ჩვენ ვცდილობთ, მაგრამ ერთი და ორი თანამშრომელი ამ საქმეს ვერ მოერევა, თუ თვითონ ხალხმაც არ შეიგნო, რომ დაიცვას სისუფთავე, დღეში ასობით ადამიანი მიდის, წყლით ჭურჭლის ავსების მოლოდინში ზოგი ლუდს მიირთმევს, ზოგი ნაყინს, საზამთროს, ნესვს, ზოგი საუზმობს და სადილობს კიდეც და, მიუხედავად იმისა, რომ ურნა იქვე დგას, თითქმის არავინ სარგებლობს მისით. ეს ჩვენს დაბალ კულტურასა და უპასუხისმგებლობაზე მიანიშნებს, რა თქმა უნდა!

- რა მდგომარეობა გვაქვს სოფლებში?

- ამ ეტაპზე ყველა სოფელი გრაფიკით იღებს წყალს, მაშასადამე, წყლის უწყვეტი მიწოდება არსად გვაქვს, რაც, ძირითადად, ზაფხულის სეზონთან არის დაკავშირებული. წყლის დებეტი ყველგან ჭირს. ჩვენ ვცდილობთ, გამოვნახოთ ალტერნატიული გზები. მაგალითად, სულ ახლახანს სოფელ მირზაანში სატუმბის მიმდებარე ტერიტორიაზე და არბოშიკის შესასვლელთან მიშმირის ტერიტორიაზე ბუნებრივი წყლის რეზერვი აღმოჩნდა. ამ ორივე ადგილზე გაკეთდება სადრენაჟო შემკრები სისტემა და მიშმირის წყალი მიუერთდება ზემო მაჩხაანის ხაზს, მირზაანისა კი თვითონ მირზაანს. აგვისტოს თვეში ოზაანში დაიწყება სატუმბიდან შემკრებ რეზერვუარამდე არსებული ცენტრალური მილის დაგება. ეს, დაახლოებით 1,200 მეტრია და იმდენად ამორტიზებულია, რომ შეკეთებას აღარ ექვემდებარება. ეს სულ მოკლე ხანში მოხდება. ზოგადად, წყლის მოხმარების დონე მოსახლეობაში, ქალაქშიც და სოფლებშიც ძალიან გაიზარდა. არც არის გასაკვირი, ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანს კომფორტის მეტი მოთხოვნა გაუჩნდა. რაც ბუნებრივია. დებეტი იკლებს, მოთხოვნილება იზრდება. ეს კი სერიოზულ პრობლემებს აჩენს. ჩვენი ვალია, უფრო აქტიურად ვიმუშაოთ. დებეტის გაზრდის ალტერნატიული გზების მოძიების თვალსაზრისით.

- რა მდგომარეობაა სოფლებში გამრიცხველიანების კუთხით? მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგს მრიცხველი აქვს დამონტაჟებული და თითოეული მოხმარებული წვეთისთვის იხდის გადასახადს, ხოლო მოსახლეობის ნაწილი ისევ სულთა რაოდენობის მიხედვით იხდის გადასახადს, წყალს კი მოიხმარს შეუზღუდავად, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს მათ.

უკმაყოფილების შესახებ ჩვენთვისაც ცნობილია. გამრიცხველიანება თითქმის ყველა სოფელში, მეტ-ნაკლებად, ნაწილობრივია. გამრიცხველიანების მსურველთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო, რადგან ამჯერად გამრიცხველიანების მსურველთათვის პირობები შეიცვალა. ოჯახის აბონენტად დარეგისტრირებისთვის სავალდებულო გახდა საჯარო რეესტრის ამონაწერი უძრავი ქონების საკუთრების თაობაზე, იქნება ეს ბინა თუ ცარიელი ნაკვეთი. ეს მოსახლეობას აფერხებს, რადგან სოფელში უმრავლესობას ქონება არ აქვს დარეგისტრირებული. დარეგისტრირებას გარკვეული ფინანსები სჭირდება და შესაბამისი დოკუმენტის მომზადება. ამიტომ ფერხდება გამრიცხველიანება. გამრიცხველიანება აქამდე უფრო მარტივად ხდებოდა და ამდენი დოკუმენტაცია არ სჭირდებოდა. თუმცა, დღეს თუ ხვალ, საქმე იქით მიდის, რომ ყველა მოქალაქემ თავისი ქონება კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაირეგისტრიროს. ჩვენი კომპანიის ინტერესებშიც შედის, რომ ყველა აბონენტი თანაბარ პირობებში გვყავდეს. ამას დრო სჭირდება.

-ჩვენი მოსახლეობა ერთ საკითხსაც მტკივნეულად განიცდის და ღიზიანდება, როცა წყლის მოსვლამდე ჯერ ჰაერი მოდის კარგა ხანს და მრიცხველს ატრიალებს. ამბობენ, ჰაერში უფრო მეტ ფულს ვიხდით, ვიდრე წყალშიო. ზამთრის პერიოდში კი, მაღალი წნევის გამო, იმდენად ძლიერია ჰაერის დარტყმები, რომ ფუჭდება ონკანები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

-გეთანხმებით, რომ ეს გამაღიზიანებელია, მაგრამ მაშინ, როცა წყალი გრაფიკით მიეწოდება, ტექნიკურად ამის გამორიცხვა შეუძლებელია, რადგან, როცა სისტემა წყლისგან იცლება, ჰაერით ივსება და წყლის გაშვებისას ჰაერი თუ არ გამოიდევნა, წყალი ვერ მოვა. ისევ და ისევ გავიმეორებ, ცოტაღა დარჩა, ერთ წელიწადში დასრულდება ივრიდან წყლის ამოყვანა, წყალი უწყვეტად გვექნება და ეს პრობლემაც თავისთავად მოგვარდება.

-ღმერთმა გისმინოთ. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მხოლოდ მორიგი დაპირება არ იქნება. გისურვებთ წარმატებებს!

ესაუბრა
ნაირა გორაშვილი

აგვისტოს ომის ქრონიკა

გრძელდება მცირე შეტაკებები, 1 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის საზღვართან ახლოს შემოვლით გზაზე აფეთქების შედეგად დაშავდა 5 პოლიციელი. ერთეული, თუმცა ინტენსიური სროლების შემთხვევები 4 აგვისტომდე გრძელდება.

7 აგვისტო, ქართულ და რუსულ მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები რომელთა თავდაპირველი მიზანი მაღალი დონის სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის ნიადაგის მომზადებაა უშედეგო აღმოჩნდება, სამაგიეროდ ხერხდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა, რომელიც მხოლოდ საღამოს ათ საათამდე გასტანს, სამხრეთ ოსეთში სროლები ისევ მიმდინარეობს. რამდენიმე საათში პრეზიდენტი სააკაშვილი ქართულ ჯარს აძლევს ბრძანებას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ.

ქართული არტილერია ცეცხლს ხსნის რეგიონში არსებული სამიზნეების მიმართულებით და **8 აგვისტოს** დილით ჯარი შედის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ცხინვალზე შეტევა ხდება სააკაშვილის განცხადებიდან სულ რამდენიმე საათში, ის სამხრეთ ოსეთს „ფართო ავტონომიას“ პირდება და რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აკეთებს განცხადებას.

რუსები ქართულ შეიარაღებულ ძალებს საჰაერო თავდასხმებით პასუხობენ. მათი სამიზნეების არეალი მოგვიანებით სცდება სამხრეთ ოსეთს. ქართული მხარის განცხადებით რუსული ჯარი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 7 აგვისტომდე შევიდა, რასაც კატეგორიულად უარყოფს რუსული მხარე.

10 აგვისტო, ქართული მხარე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აკეთებს განცხადებას და იწყებს ჯარის გამოყვანას სამხრეთ ოსეთიდან. რუსული ჯარები აგრძელებენ შეტაკებებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და უფრო მეტიც, სცდებიან მის საზღვრებს და გორისკენ მიიწევენ. რუსები პოზიციებს იმაგრებენ საქართველო-აფხაზეთის საზღვართანაც და ასევე საზღვაო კორდონს აყენებენ ფოთის პორტში.

12 აგვისტო, რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი თავის ჯარებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ქართულმა შენაერთებმა დატოვეს როგორც სამხრეთ ოსეთი ისე კოდორის ხეობა, აფხაზეთის ერთადერთი ნაწილი, რომელსაც ისინი აკონტროლებდნენ. მოსკოვის ქმედებებს აკრიტიკებენ ამერიკისა და ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები.

14 აგვისტო, საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის გადაწყვეტილებას საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლის შესახებ.

16 აგვისტო, რუსული და ქართული მხარე ხელს აწერს სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც შეიმუშავა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ევროკავშირის პრეზედენტის რანგში. შეთანხმება ავალდებულებს რუსულ და ქართულ მხარეებს გაიყვანონ თავიანთი საჯარისო შენაერთები ომამდე არსებულ პოზიციებზე. რუსეთს ჯარი მთლიანად არ გაჰყავს არც სამხრეთ ოსეთიდან და არც საქართველოს სხვა ტერიტორიებიდან. სექტემბრის დასაწყისში მისი ჯარი კვლავ რჩება ფოთის პორტში.

ომის შემდგომ ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით კონფლიქტის დროს დაიღუპა 850 ადამიანი, მათ შორის 365 ოსი, 170 ქართველი სამხედრო და 65 რუსი ჯარისკაცი; 100 000 მეტი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი.

კონფლიქტის მსვლელობის დროს მოკლულია სამი და დაჭრილია 12 ჟურნალისტი. 8 აგვისტოს დაიღუპა ორი ქართველი ჟურნალისტი გია ჩიხლაძე და ალექსანდრე კლიმჩუკი. 12 აგვისტოს რუსეთის მიერ გორის დაბომბვის დროს გარდაიცვალა დანიელი ჟურნალისტი და ოპერატორი სტან სტორიმანსი.

2009 წლის სექტემბერში ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული ომის ანგარიშში ვკითხულობთ „კონფლიქტის ყველა მხარემ -ქართულმა, რუსულმა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა — მოახდნა საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კანონების დაარღვევა“. ანგარიში ამბობს, რომ შეუძლებელი იყო ქართული მხარის განცხადებების დადასტურება იმის თაობაზე, რომ რუსეთმა სამხრეთ ოსეთში ჯარები შეიყვანა მანამ, სანამ იქ ქართული ჯარი გაიგზავნებოდა 7 აგვისტოს.

26 აგვისტო, რუსეთი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ოფიციალურად აღიარებს.

შინდისის გმირები

2020 წელი, 8 აგვისტო, სოფელი შინდისი - 12 წლის შემდეგაც რუსეთის საოკუპაციო ძალების კვალი აქ ყველაზე მძაფრად იგრძნობა. რეაქტიული ცეცხლმტყორცნებით და ყუმბარებით დაცხრილულ შინდისის რკინიგზის სადგურს ტყვიები დღემდე აქვს შემორჩენილი და არც არასდროს გაქრება. აქ დღესაც ნახავთ გმირულად დაღუპული ბიჭების ,რუსული ტყვიებით დაცხრილურ ჩაფხუტებს, მათარებს... მემორიალი, რომელიც 17 ჯარისკაცის ხსოვნას ინახავს, გავსებს ბრაზით და ხვდები, რომ დრო ოკუპაციას ვერასდროს განკურნავს.

„მიპასუხე, მამაო, ღმერთო, არ გადის ეს დალოცვილი ზარი” - ისმის ტკივილით ნათქვამი სიტყვები. მერე მობილურს მოისვრის და დაჭრილ ბიჭებს გასძახებს, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, „ლიმონკა” მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნება.

მე ვილოცებ, თქვენ თუნდაც გულში გაიმეორეთო და... ბრძოლის ველზე ანგელოზის გალობასავით გაისმის „მამაო ჩვენო”. ლოცვის დასრულების შემდეგ მცირე პაუზა იყო და უცებ ყველაფერი წამებში მოხდა, აფეთქებამ ანგელოზის ხმაც წაშალა და ისიც, ვისი ყელიდანაც ის ხმა ამოდიოდა.

აღარც ის დაჭრილი ჩანდა, მეგობრის მუხლებზე რომ ედო თავი. ჯარისკაცმა ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიღუპა გულში ჩახუტებული ნათლულიც - რომან ზოიძე. გამუდმებით ეხვეწებოდა ნათლული ნათლიას, ეს არ ქნა, წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისთვის ილოცეო. „არა” - უპასუხა ალეკომ..

ალეკო მობილური ტელეფონით მოძღვართან დარეკვას ცდილობდა, სურდა, საკუთარი თავისა და თანამებრძოლების შენდობა ეთხოვა...

ასე გალობითა და ლოცვით გადავიდნენ იმიერ საქართველოში ეს ბიჭები, ჩვენ კი ვაჟკაცობის საოცარი მაგალითი დაგვიტოვეს”...

შინდისელები იხსენებენ, რომ მოწინააღმდეგის ვაჟკაცობით გაოგნებულმა მტერმა, დახოცილების ნივთებს ხელი არ ახლო..

ახლა ეს ნივთები მემორიალის საკუთრებაა..

ერთ-ერთი გმირის, მიშიკო დვალიშვილის ცხედარი შინ რომ მიასვენეს, მას ყველაფერი თან ჰქონდა - იარაღიც, ჯავშანჟილეტიც და მობილური ტელეფონიც...

და ჯიბეში, ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ლექსი, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე რომ დაწერა - „ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები, გულისკაცები და ვაჟკაცები.. ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიდევს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს. ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ”...

„ეს ფილმი აუცილებელია“ – მზია ხეთაგური 1920 წლის ცხინვალის ამბებზე, მისი ოჯახის დევნაზე და რუსულ იმპერიულ პოლიტიკაზე

„ეს ფილმი აუცილებელია, ეჭვიც არ მეპარება, რომ ობიექტური იქნება“, - ამბობს პოეტი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერი მზია ხეთაგური დოკუმენტურ ფილმზე „ცხინვალი 1920“, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები უახლოეს პერიოდში გადაიღებენ.

პოეტი 1920 წელს ჯავის რაიონში ოს ბოლშევიკთა აჯანყებასაც ეხმაურება, რომელსაც რუსეთის ბოლშევიკური ორგანიზაცია უმაგრებდა ზურგს. მისი თქმით, მოვლენები მის ოჯახსაც შეეხო, როცა ოსი ბოლშევიკები თავს დაესხნენ ცხინვალის ქართულ მოსახლეობას:

- 1920 წელს დედაჩემი დაიბადა, პაპას 11 შვილი ჰყავდა, დედა მეთერთმეტე, ნაბოლარა გაჩნდა. ოსი ბოლშევიკები რომ დაეცნენ თავს ცხინვალში ქართულ მოსახლეობას, ჯერ კიდევ აკვნის ბავშვი იყო. ქართველები იძულებულები იყვნენ, ტყეში გახიზნულიყვნენ, ბუნებრივია, რაც შეეძლოთ, ტვირთიც თან მიჰქონდათ.

წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ბებიაჩემი ამდენი შვილით გზაზე, პაპაჩემს პირმოკრული ტომარა მიჰქონდა და ზურგზე დედაჩემის აკვანი ედგა, მხრებით იმაგრებდა ტვირთს, უძლიერესი კაცი იყო. რომ მირბოდნენ, ერთ-ერთმა მეზობელმა დაიძახა, გვეწევიან, ამდენი შვილი გყავს, ეგ აკვანი დააგდე, თორემ ყველანი დაიღუპებითო. პაპაჩემს უთქვამს, ნაბოლარა შვილს როგორ მივატოვებო.

და მაინც, როგორღაც შეძლეს და შეასწრეს ტყეში.

ყველა კარგი შვილი ჰყავდა პაპას, დედაჩემი კი მართლა განსაკუთრებული იყო: სკოლაში სულ აქებდნენ, არაჩვეულებრივად უკრავდა პიანინოზე, ჭკვიანი, გონიერი ბავშვი იყო, როცა უყურებდა დედას, როგორ კითხულობდა ლექსებს, როგორი ცოდნა ჰქონდა, იტყოდა, აბა, რომელი მყავს ასეთი შვილი, აკვნიანად რომ დამეგდოო...

მავანს სურს ცხინვალის 1920 წლის მოვლენები ოსი ხალხის გენოციდად გადააქციოს და გაეროს ამის აღიარებას სთხოვენ...

დრო გადის, მაგრამ რუსეთის იმპერიის პროვოკაციები მაინც იგივე რჩება, არანაირი ნიჭი არ აქვთ, რომ რაიმე სხვა მხრიდან მოუარონ საკითხს, ერთი და იგივე პროვოკაციებს იყენებენ, უნდათ, რომ საქართველო დაიპყრონ, რომელიც კავკასიის ხერხემალია. მისი გადატეხვა უნდათ მცირე ეროვნებების აჯანყებით.

ამიტომ ჯერ კიდევ 1920 წლიდან მოყოლებული, რა თქმა უნდა, ისინი ახელებდნენ ოსებს და უსევდნენ ქართველებს, ქართულ ოჯახებს, ანადგურებდნენ და აკვლევინებდნენ, ამ ამბებში რუსებიც იყვნენ ჩარეულები, წარმოიდგინეთ - ფიზიკურადაც.

- ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსებისა და მკვლევრების ფილმზე რას იტყვით, რომლებიც მასალებს აგროვებენ და სურათის ობიექტურ აღდგენას აპირებენ...

- ეს ფილმი აუცილებელია, ეჭვიც არ მეპარება, ობიექტური იქნება, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ოსი ხალხის საწინააღმდეგო, ან მათი შეურაცხმყოფელი კადრები გადაიღონ, არამედ ეს ფილმი უნდა იყოს ოსებისთვის გაკვეთილი, თუ რამდენად ჩაუდო მათ თავში ნაღმები თავის დროზე რუსეთის იმპერიამ და როგორ აფეთქებენ მათ აზროვნებას, თუ ისინი რუსებს ხელს შეუწყობენ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობასა და კავკასიაში არეულობაში, მაშინ ჩათვალონ, რომ თვითონაც განწირულები იქნებიან, რომ საკუთარ თვითმყოფადობას დაკარგავენ და ვერ გადარჩებიან, როგორც ერი, ასიმილაცია დაემუქრებათ. და რომ ისინი მხოლოდ საქართველოს წიაღში შეინარჩუნებენ საკუთარ კულტურას, ენას, თვითმყოფადობას.

ჩრდილოეთ ოსეთს რომ უწოდებენ, ის ჩრდილოეთი კი არ არის, ნამდვილი ოსეთია. ჩრდილოეთი იმიტომ უწოდეს, რომ სამხრეთ ოსეთი გაემართლებინათ, სინამდვილეში სამაჩაბლო იყო ოდითგანვე, სადაც უამრავი ხე - რცხილა ხარობდა და რცხილნარი ერქვა. ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს და უფრო ადრეც, ვიდრე ქალაქად გადაიქცეოდა, დაბის მაგვარი დასახლებები სულ იყო ცხინვალის ადგილას.

საქმე ისაა, რომ რუსების მიერ შეცდენილია ძალიან ბევრი სხვა ეროვნება, თუნდაც ჩუქჩები, რომელთაც ისე გადაუარეს რუსებმა, საკუთარი გვარი აღარ აქვთ, არც ენა, ჩუქჩა ყველგან ივანოვი, პეტროვი ან ვასილევია... საკუთარი გვარი დაკარგეს, სამი რუსული გვარია დარჩენილი მხოლოდ.

ზუსტად ეგ ელის ოსსაც და კავკასიის სხვა ეროვნებასაც, რომელიც ვერ გააცნობიერებს, რომ საქართველოსთან ბრძოლა არის რუსეთის ბრძოლა კავკასიის დასაპყრობად, და ამ ფილმში ეს კარგად უნდა ჩანდეს.

ამ ფილმის გადაღება აუცილებელზე აუცილებელია, ოღონდ სიფრთხილეა საჭირო, რომ არ იყოს შეურაცხყოფილი ოსი, როგორც პიროვნება, ოსი, როგორც ეროვნება და ადამიანი. ფილმში აუცილებლად უნდა იყოს აქცენტირებული ოსების ღირსებები, სხვანაირად ამას რუსეთიც ხელზე დაიხვევს და ისევ სათავისოდ გამოიყენებს და ოსებიც გამწარდებიან.

ფილმში ისეთი დეტალებიც უნდა ჩანდეს, რომლებიც ადვილად აუხსნის ოსებს, რომ ისინი კი არ არიან დამნაშავენი, არამედ ის პოლიტიკაა დამღუპველი, რომელმაც ისინი მცდარი გზით წაიყვანა - რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა.

„ლ ი ა ც ი ს ქ ვ ე შ“

28 ივლისს, თბილისში, შოთა რუსთაველის ძეგლთან, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით გაიმართა ვეფხისტყაოსნის მხატვრული და ზეპირი კითხვის საღამო/კონკურსი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან ლორთქიფანიძე, პოეტი ნანი საბანაძე, პოეტი ნათელა ნებიერიძე, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე მანანა გვასალია და დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრები.

კონკურსში მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის ჟურნალისტიკის, აგრარული ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და კონსერვატორიის სტუდენტები: სანდრო გეგეჭკორი, სანდრო ნებიერიძე და გიორგი გიგაშვილი, რომლებიც ამავდროულად პიანისტები და არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები არიან.

სპეციალური მოწვევით ვეფხისტყაოსნის მხატვრული და ზეპირი კითხვის დღეს ესწრებოდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრის მთავარი მევიოლინე ლელა მჭედლიძე, რომელიც ამავე დროს მსოფლიოს მევიოლინეთა ორკესტრის მუდმივი წევრია და მისი ქალიშვილი ელენე მეგრელიშვილი. მათ შეასრულეს ქართველი კომპოზიტორების ზაქარია ფალიაშვილის, ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ცინცაძის, რევაზ ლაღიძის, ვაჟა აზარაშვილისა და მაცაცო სებისკვერაძის ნაწარმოებები. სამივე ფაკულტეტის წარმომადგენლებმა კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. მანანა გვასალიამ ღონისძიების მსვლელობისას წაიკითხა გაზეთ „შირაქის“ რედაქტორის, ნაირა გორაშვილის წერილი „ერთი დაუვიწყარი დღე“, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის (850), ვაჟა-ფშაველასა (155) და გალაკტიონის (125) იუბილეებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიებამ არამარტო მოწვეული სტუმრების გარემოცვაში ჩაიარა, არამედ რიგითი გამვლელებიც ძალიან დაინტერესებულები იყვნენ მისი მსვლელობით. ეს ფაქტი კი მეტად სასიხარულოა, რადგან გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში კვლავაც ინტერესდებიან ისეთი დიდებული პოეტითა და პოემით, როგორიც შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანია“.

ნანა ჭიჭინაძე

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის 2004 - 2005 სასწავლო წლის XI ბ კლასის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ლელა ჯავაშვილი მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის

დათო მეხრიშვილის

გარდაცვალებას და სამზიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სიმბოლოდან – სიმბოლომდე...

ბუნებაში მიმავლებს, ალბათ, ბევრჯერ დაგვინახავს, თუ როგორ არის ხოლმე მდელო ყაყაჩოებით, ამ უბრალო, ნაზი და სიფრიფანა ყვავილებით მოჩითული. ადრე არასდროს მიფიქრია მისი ერთი მხრივ სევდიანი და, ამავდროულად, ტრაგიკული დანიშნულების შესახებ. დანიშნულების, რომელიც მუდმივად გვახსენებს, რომ არ უნდა დავივიწყოთ. არ უნდა დავივიწყოთ ის ადამიანები თუ მოვლენები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების განუყრელ ნაწილებად განგებამ აქცია. მიხვდებოდით,რომ საუბარი წითელ ყაყაჩოებზე - როგორც ხსნოვნის სიმბოლოზეა.

უძველესი დროიდან არსებობდა სამი სიმბოლო, რომლითაც ხალხი ყველაზე ძველ, არქაულ სალოცავებს ალამაზებდა. ეს არის ვაზის ტოტი ან ფოთოლი (ღვინის სიმბოლო), სვიის ფოთლები ან გირჩები და მშვენიერი ყვავილი ყაყაჩო (ძილისა და სიკვდილის სიმბოლო). ძველი ბერძნები ყაყაჩოს არამარტო ძილის ღმერთის (ჰიპნოსის) სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, არამედ სიკვდილის ღმერთის (ტანატოსის) სიმბოლოდაც. წითელი ყაყაჩო კი, როგორც ხსოვნის სიმბოლო, გაერთიანებულ სამეფოში გაჩნდა. ძველბერძნულ მითოლოგიაში ის ძილისა და სიზმრის ღვთაებათა სიმბოლო იყო. რომაულში კი ზამთრობით მიძინებულ ბუნებას განასახიერებდა. ქრისტიანულმა ტრადიციამ ამ სიმბოლიკის ზოგიერთი ასპექტი გაითავისა და ნითელი ყაყაჩო ქრისტეს მოწამეობის და „მარადიული ძილის“ სიმბოლოდ აქცია. ქართულმა პოეზიამ კი, სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოდ აღიქვა. ამიტომაც, ქართველი პოეტების უმეტესობას ის თავის ლექსებში აქვს გამოყენებული. ლადო ასათიანი ლექს „კრწანისის ყაყაჩოებში“ ყაყაჩოს კრწანისის ომში გმირულად დაღუპული ქართველების სისხლის ფერს ადარებს: **„ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?“** მურმან ლებანიძე ლექსში „უფლისციხესთან ...“ ყაყაჩოს დასაღვრელი სისხლის მაცნედ მიიჩნევს: **„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს ნვეთი, არა დაღვრილის, – დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...“**

ჩვენი უახლესი წარსულიდან კი ყაყაჩო, უკვე 12 წელია, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის სიმბოლოა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირების პატივსაცემად „პრაიმტაიმის“ ინიციატივით, მთელი საქართველო გულზე წითელ ყაყაჩოებს ატარებს. ყაყაჩოს ორგვარი დატვირთვა აქვს- ის ერთდროულად მშვიდობის და ხსოვნის სიმბოლოა. „ჩვენ აღარ გვინდა ომი და ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლო გადაარჩინეს!“ - თითქოს ეს სიტყვები გასდევს წითელი ყაყაჩოს სიმბოლოსა და მის აღქმას.

ამ აქციას საფუძველი 2010 წელს მუსკომედიის თეატრის ეზოში ჩაეყარა. 2010 წლის 6 აგვისტოს თუმანიშვილის თეატრში შედგა „პრაიმტაიმის“ წიგნის „გმირის“ პრეზენტაცია. წიგნი გამოიცა ქართულ ენაზე და მასში შესულია 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული ყველა მეომრის ისტორია. წიგნში არის თითოეული ამ ბიჭის სურათი და მოთხრობილია მათი ცხოვრებისა და გმირობის შესახებ, რომლებმაც სამშობლო ყველაფერზე წინ დაიყენეს. ამ წიგნს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი ოჯახის წევრებისთვის, საზოგადოებისთვის და ზოგადად ქართველი ერისათვის. წიგნმა გვაჩვენა, რომ ჩვენ აღარ გვეყოლება უსახელო გმირები და რომ ისტორია თითოეული მათგანის სახელს და გვარს შემოგვინახავს. წიგნის პრეზენტაციაზე დარიგდა მშვიდობისა და ხსოვნის სიმბოლო წითელი ყაყაჩო, რომელსაც იმ დღეებში ყველა პროფესიის ადამიანი ატარებდა. პროექტის ფარგლებში წიგნი „გმირი“ ითარგმნა ინგლისურ ენაზე და 2011 წლის 7 ივნისს ლონდონში, რენი ჰარლინის ჰოლივუდური ფილმის „აგვისტოს ხუთი დღის“ პრემიერასთან ერთად ინგლისურენოვანი წიგნის პრეზენტაციაც გაიმართა. წიგნის შესახებ მაშინ მთელმა მსოფლიომ შეიტყო.



„პრაიმტაიმი“, ხსოვნის კვირეულის ფარგლებში, ყოველწლიურად მართავს წითელი ყაყაჩოების აქციას და ზრუნავს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირების შვილებზე. გარდა ამისა, გადაწყდა, ამ აქციისთვის გარკვეულწილად საქველმოქმედო ფუნქციაც მიენიჭებინათ, ამიტომაც ყაყაჩო სიმბოლურ ფასად-ლარნახევრად იყიდებოდა და დღემდე იყიდება. ამ თანხით კი ფონდი ომში დაღუპული ჯარისკაცების შვილებს ეხმარება.

გაზაფხულზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის მინდვრები წითლად შეიფერება, გაგვახსენებს ომში წასულ უსახელო გმირებს და გრძნობ, დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს თუ როგორ უნუგეშოდ აწვიმს, გაგვახსენდება, რომ ყაყაჩო მსოფლიო საზოგადოებაში უდანაშაულო სისხლის სიმბოლოდაა ცნობილი. „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო“, ხოლო იქ, სადაც ქართველი ვაჟკაცების სისხლია დაღვრილი - ყაყაჩო... სწორედ წითელი ფერის აღლუმია - ყაყაჩოების ცეცხლწაკიდებული კრწანისი, უფლისციხის მიდამოები, ის ადგილები, სადაც ძველად ჯარებს უხმობდნენ. ახლა კი აგვისტოს ომის გმირებს, მუდამ ახალგაზრდებსა და მებრძოლი სულის ადამიანებს...

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ულოცავენ!

რაჭი მეკოკიშვილს! თეონა კონჯარიას!

ჩვენო ძვირფასებო, გულითადად გილოცავთ პირველი შვილის **თომა მეკოკიშვილის** დაბადებას, რითაც უდიდესი სიხარული მიანიჭეთ ახალგაზრდა პაპა-ბებიას კესო ჯორკოშვილს და ზურაბ მეკოკიშვილს.

პატარა თომა სახელოვანი ვაჟკაცი გაზრდილიყოს; ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. უფლის მფარველობა და წყალობა არ მოჰკლებოდეს!

დედოფლისწყაროს მერაბ კოსტავას ქუჩაზე მცხოვრები ახალგაზრდა თაობის სახელით: სოსო ბერულაშვილი, პაატა და ზაზა ედილაშვილები, თორნიკე, ლევანი, ირაკლი, ლუკა, ლაშა, ნიკა თავაძეები, გიორგი, რეზო ჯანყარაშვილები, არსენა, დათო ყოჩიაშვილები, ნუგზარი, ნიკა, გიორგი ნიკვაშვილები, გიგა შანშაშვილი, გიორგი და ნიკოლოზ გოგობერიშვილები ოჯახებით.

ზიზი ხუციშვილ- ყოჩიაშვილს!

გილოცავთ საიუბილეო თარიღს. 15 აგვისტოს 80 წლის გახდები. მართალია, ქალების ასაკს არ ამხელენ, მაგრამ მე დავარღვიე ეს ტრადიცია და შენი ასაკი გამოვიტანე სააშკარაოზე. შენ კარგი მეუღლე, კარგი შვილების გამზრდელი დედა, კარგი ბებია, შეუდარებელი მეზობელი ხარ, შენი ახალგაზრდული წლები სულ შრომაში გაატარე, ყველასთან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე. შენ ისეთი ცხოვრებით იცხოვრე, რომ უკან მისახედი წლებით უნდა იამაყო. ეს ყველას არ შეუძლია, მე დიდად მეამაყება, რომ ჩემი მეზობელი ხარ. ყველას გვერდში მდგომი, ყველას ლხინისა და ჭირის (ღმერთმა გვაშოროს) გამზიარებელი. ქუჩაში ვინც კი შემხვდება, ყველა მოკითხვას მაბარებს და ასე გიხსენებენ. **ჩვენო საყვარელო ზიზი,** ღმერთმა დარჩენილი წლები ჯანმრთელობაში გაგატარებინოს ყველა ახლობელთან ერთად.

გოგებაშვილის ქუჩაზე მცხოვრებლის სახელით, მარინე მოლაშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა ბ ი ნ ა !

იყიდება ერთსართულიანი ბინა ზემო ქედში, ოთხი ოთახით, დიდი ეზოთი. აქვს სათავსოები. უზრუნველყოფილია გაზით და წყლით.ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე: 558 25 10 14
იკითხეთ ნინო ლომსაძე.

ს ი ა ხ ლ ე !

მიდიხართ ქორწილში ან დაბადების დღეზე და გიჭირთ საჩუქრის შერჩევა? დედოფლისწყაროში, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაღაზია „ბეკოს“ გასწვრივ, ახლად გახსნილი სუვენირების მაღაზია ამ პრობლემას იოლად და სწრაფად მოგიგვარებთ! მაღაზიაში საჩუქრების მრავალფეროვანი ასორტიმენტია ყველა გემოვნებისა და ასაკის მომხმარებლისათვის. და რაც მთავარია, აქ ფასები ხარისხზე დაბალია!

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა N53.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 10.08	სამშაბათი 11.08	ოთხშაბათი 12.08	ხუთშაბათი 13.08	პარასკევი 14.08	შაბათი 15.08	კვირა 16.08
დღე	30 °	25 °	26°	23 °	27 °	26 °	26 °
ღამე	23 °	19 °	19 °	17 °	16 °	16 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი) ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.